

## შ.პ.ს „სტრანსი“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური  
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს  
ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური  
ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                                  |   |
|------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                         | 3 |
| შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ..... | 4 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა .....                                  | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                          | 6 |

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს სტრანსი 2022 წელი

| აქტივები                    |          |                  |                  |                  |
|-----------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
|                             | შენიშვნა | 2022             | 2021             | 2020             |
| ფულადი სახსრები             | 4        | 22,175           | 8,078            | 13,372           |
| სავაჭრო მოთხოვნები          |          | 107,903          | 73,188           | 120,202          |
| გადახდილი ავანსები          |          | 28,848           | 15,636           | 41,359           |
| <b>მარაგი</b>               |          | <b>75,616</b>    | <b>64,189</b>    | <b>42,333</b>    |
| - მზა პროდუქცია             |          | 75,616           | 64,189           | 42,333           |
| სხვა მიმდინარე აქტივები     | 5        | 702,750          | 666,466          | 580,812          |
| <b>ძირითადი საშუალებები</b> | <b>6</b> | <b>804,757</b>   | <b>838,789</b>   | <b>877,406</b>   |
| - მიწა                      |          | 83,434           | 83,434           | 83,434           |
| - შენობა-ნაგებობა           |          | 562,703          | 585,012          | 607,320          |
| - სხვა ძირითადი საშუალებები |          | 158,620          | 170,344          | 186,652          |
| არამატერიალური აქტივები     |          | 345              | 345              | 345              |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები  | 7        | 1,078,936        | 1,236,903        | 1,308,379        |
| <b>სულ აქტივები</b>         |          | <b>2,821,330</b> | <b>2,903,594</b> | <b>2,984,208</b> |

| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები            |            |                  |                  |                  |
|-----------------------------------------------|------------|------------------|------------------|------------------|
| ვალდებულებები                                 | შენიშვნები | 2022             | 2021             | 2020             |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                  |            | 326,057          | 424,705          | 444,070          |
| სავაჭრო ვალდებულებები                         |            |                  |                  |                  |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები         |            | 2,000            | 3,491            | 28,905           |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ            |            | 19,603           | 14,174           | 4,290            |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |            |                  |                  |                  |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                    |            |                  | -                | 726              |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები               |            | 546,878          | 704,968          | 809,008          |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები            |            |                  |                  |                  |
| მიღებული გრანტები                             |            | 29,000           | 32,000           | 300,000          |
| სხვა ვალდებულებები                            |            | 923,537          | 1,179,338        | 1,586,999        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |            |                  |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |            |                  |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი                              |            | 237,961          | 135,326          | 30,000           |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                   |            | 1,652,844        | 1,583,007        | 1,361,286        |
| გადაფასების რეზერვი                           |            | 6,988            | 5,923            | 5,923            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |            | <b>1,897,793</b> | <b>1,724,256</b> | <b>1,397,209</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |            | <b>2,821,330</b> | <b>2,903,594</b> | <b>2,984,208</b> |



# შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                                                        |          | 2022        | 2021        |
|------------------------------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ნეტო ამონაგები                                                         | შენიშვნა | 4,416,415   | 3,700,823   |
| - საქონლის გაყიდვიდან                                                  |          | 4,416,415   | 3,700,823   |
| - სხვა                                                                 |          |             |             |
| რეალიზებული პროდუქციის ღირებულება                                      |          | (3,685,482) | (3,255,194) |
| საერთო მოგება                                                          |          | 730,933     | 445,629     |
| სხვა შემოსავალი                                                        |          |             | 7,795       |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                               |          | (135,505)   | (132,959)   |
| ცვეთა/ამორტიზაცია                                                      |          | (38,194)    | (40,117)    |
| საპროცენტო შემოსავალი                                                  |          | 119,805     | 122,413     |
| საპროცენტო ხარჯი                                                       |          | (64,070)    | (91,049)    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                               |          | (383,584)   | (156,725)   |
| სულ საოპერაციო ხარჯი                                                   |          | (501,548)   | (290,643)   |
| სულ საოპერაციო მოგება                                                  |          | 229,385     | 154,986     |
| გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება                                       |          |             |             |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                          |          | (170,372)   | 66,700      |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან |          | 59,013      | 221,686     |
| მოგების გადასახადი                                                     |          |             |             |
| მოგება/ზარალი                                                          |          | 59,013      | 221,686     |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                      |          |             |             |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ                                  |          |             |             |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                     |          | 59,013      | 221,686     |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)              |          | 1,724,255   | 1,397,209   |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                  |          | 11,890      |             |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                              |          | 102,635     | 105,360     |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                         |          | 1,897,793   | 1,724,255   |

# ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

2022 წელი 31 დეკემბერი 2021 წელი 31 დეკემბერი

| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან                    |           |           |
|-----------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| მოგება/ზარალი დაბეგვრამდე                                             | 59,013    | 221,686   |
| კორექტირებები:                                                        |           |           |
| ცვეთა და მორტიზაცია                                                   | 38,194    | 40,117    |
| მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე | 97,207    | 261,803   |
| კლება/ზრდა:                                                           |           |           |
| ცვლილებები მარაგში                                                    | (11,427)  | (21,856)  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                            | (47,928)  | 72,737    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                         | (98,648)  | (19,365)  |
| სხვა მიმდინარე აქტივი                                                 | (36,284)  | (85,654)  |
| სხვა გრძელვადიანი აქტივი                                              | 157,967   | 71,476    |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                    | (1,491)   | (25,414)  |
| საგადასახადო ვალდებულება                                              | 5,428     | 9,885     |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                       | 64,825    | 263,611   |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან                  |           |           |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                            | 10,622    | (1,466)   |
| მიმდინარე აქტივები                                                    | (2,895)   |           |
| კაპიტალის ზრდა                                                        | 102,635   | 105,326   |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან                     | 110,362   | 103,860   |
| ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან                     |           |           |
| გაცემული სესხები                                                      | (3,000)   | (268,000) |
| სესხსხო ვალდებულებები                                                 | (158,090) | (104,040) |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან                        | (161,090) | (372,766) |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში                     | 14,097    | (5,294)   |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                                |           |           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში                           | 8,078     | 13,372    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს                                | 22,175    | 8,078     |



# ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სტრანსი“ (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს-ის) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2015 წლის 20 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406139771.

**2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მესაკუთეებს წარმოადგენ:**

ზურაბ ნიჟარაძე - 01031006223 50%

ელგუჯა სამჭკუაშვილი 12001013490 - 50%

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

დირექტორი - ლევან მაჭარაშვილი 01008045583

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა 2022 წელს წარმოადგენს ვაჭრობა კერძოდ, საცალო ვაჭრობა დიზელის სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ბენზინით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი №25-ის მიმდებარედ

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

**ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.** კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა.** კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

|                 | 2021 წლის<br>დეკემბერი | 31 | 2022 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------|------------------------|----|---------------------------|
| აშშ დოლარი/ლარი | 3.0976                 |    | 2.7020                    |

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**სავაჭრო მოთხოვნები.** სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

**ამონაგების აღირება.** ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს საწვავის საცალო ვაჭრობას სპეციალიზებულ მაღაზიებში, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.



**მოგებიდან გადასახადი.** მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

### **3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ**

**ფუნქციონირებადი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

**ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.



| შენიშვნა 4. ფულადი სახსრები | 31.12.2022    | 31.12.2021   |
|-----------------------------|---------------|--------------|
| ნაღდი ფული                  | 12,077.75     | 4,066        |
| საბანკო ანგარიშზე           | 10,097.22     | 4,011        |
|                             | <u>22,175</u> | <u>8,078</u> |

#### შენიშვნა 5. სხვა მიმდინარე აქტივები

|                                         |         |         |
|-----------------------------------------|---------|---------|
| მისაღები პროცენტები გაცემული სესხებიდან | 702,750 | 666,466 |
|-----------------------------------------|---------|---------|

#### შენიშვნა 6. ძირითადი აქტივები

|                           | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|---------------------------|----------------|----------------|
| მიწა                      | 83,434         | 83,434         |
| შენობა-ნაგებობა           | 562,703        | 585,012        |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 158,620        | 170,344        |
|                           | <u>804,757</u> | <u>838,789</u> |

#### შენიშვნა 6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

|                                | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|--------------------------------|------------|------------|
| მოთხოვნები გაცემული სესხებიდან | 1,078,936  | 1,236,903  |

სხვა ვალდებულებები 300 000 ლარი წარმოადგენდა პირობით ვალდებულებას რომელიც არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენა რომლებიც საწარმოსაგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას, ან ისეთი მუხლების აღიარებას, რომლებიც მანამდე აღიარებული არ იყო:

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ სასამართლო დავის გადაწყვეტა, რომელიც ადასტურებს, რომ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის უკვე ჰქონდა მიმდინარე ვალდებულება. საწარმოაკორექტირებს ამ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით უკვე აღიარებულ ანარიცხებს, - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობით აქტივები“ - შესაბამისად, ან აღიარებს ახალ ანარიცხებს.

ვინაიდან აღნიშნულ ვალდებულებაზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რომელიც დასრულდა 2021 წელს, სასამართლო შეთანხმებით 2021 წელს მოხდა შეთახმება და ვალდებულება შემცირდა 140 000 ლარით, ხოლო გადახდილ იქნა 128 000 ლარი, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების ნაშთი შეადგენს 32 000 ლარს. 2022 წელს დავალიანება შემცირდა 3000 ლარით და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების ნაშთმა შეადგინა 29 000 ლარი.

დირექტორი ლევან მაჭარაშვილი